

პროფესორ გიორგი ხუციშვილის (1948-2013) მემორიალური დაფის
მოწყობისათვის ჩატარებული სამუშაო

ძეგლის პირველადი კვლევა-დაზვერვითი სამუშაო და მემორიალური
დაფის მოწყობის შესაძლებლობის განსაზღვრა. 2013 წელი.

ქ. თბილისი

მაჩაბლის ქ. №5

არქიტექტურული ძეგლის პირველადი კვლევა-დაზვერვა



ფოტო
საღალაკზე XIX საუკუნის ბოლო პერიოდი

უძრავი ძეგლის ადგილმდებარეობა ურბანულ ქსოვილში

უძრავი ძეგლის კვლევა ჩატარებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 49-ე მუხლების მე-2 ნაწილების შესაბამისად.

ურბანული ქსოვილი, სადაც საკვლევი ძეგლია განთავსებული, თბილისის ისტორიული განაშენიანები ზონის საზღვრებშია მოქცეული. ი. დანართი №1 1:2000 მ. ტოპორუკაზე.
უბანი, სადაც საკვლევი ძეგლია განთავსებული, “გარეთუბნის” სახელწოდებით იყო ცნობილი.

ძეგლის ტერიტორია “გარეთ უბანში” კერძოდ კი “სალალაკის” უბანში შედის და XIX საუკუნის ქალაქის ქსოვილში ქალაქებმარებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს, რომელსაც მისი წარმოშობიდან დღემდე არსებითი ცვლილება მცირე გამონაკლისის გარდა არ განუცდია, რაც ძირითადად მთაწმინდის კალთების ქუჩების უცვლელი ქსელის შენარჩუნებით უნდა აიხსნას.

საკვლევი ძეგლის ტერიტორიაზე შენობების თაობათა ცვლა ბოლო საუკუნის განმავლობაში არ მომხდარა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ქალაქებმარებითი სტრუქტურა მოცემულ ტერიტორიაზე უცვლელია, ეს კი თავის მხრივ, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საკვლევი ძრგლის მიმდებარე ტერიტორია მცირედი გამონაკლისის (მომიჯნავედ გამოთავისუფლებული ტერიტორია) გარდა ისტორიული ნიშნით დავახასიათოთ.

ძეგლისა და საკუთრივ მისი ქალაქებმარებითი ტერიტორიის განვითარების ეტაპები

„გარეთ უბანი“, „ქალაქის მიდამო“, „ქალაქის სანახები“ ეს სინონიმები ზოგადად ქალაქის გარეთუბანს აღნიშნავდა, თუმცა სიტყვა „გარეთუბანი“ ადგილის საკუთარ გეოგრაფიულ სახელად პირველად XVI საუკუნეში გვხვდება, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადგილზე ადრე ხალხი არ სახლობდა ან ამ ტერიტორიას სხვა სახელი არ ერქვა.

თბილისის პირველი გრაფიკული მასალით (1670-იანი წლები) უან შარდენის ჩანახატით გარეთუბანში საკვლევი ტერიტორია არაა დაფიქსირებული, ასევე არაა დაფიქსირებული გარეთუბანი

ტურნეფორის მიერ შესრულებულ გრაფიკულ მასალაზეც (1701 წელი).

შემდგომ ეტაპზე გარეთუბანი XVIII საუკუნის სიგელ-გუჯრებში გვხვდება, ხოლო პირველი გრაფიკული მასალა გარეთუბნის შესახებ ასახულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის რუკაზე, რომლის მიხედვით გარეთუბნის განაშენიანება იწყებოდა ქალაქის გალავანთან და დაახლოებით დღევანდელ ალ.ჭავჭავაძის ქუჩამდე ვრცელდებოდა. თუმცა, ამ დროის ვახუშტისეულ გეგმაზე საპროექტო ტერიტორია მთებითაა დაფარული. 1783 წელს მეფე ერეკლეს მიერ მოწყობილი მოსახლეობის აღწერით გარეთუბანში 550-მდე კომლი ცხოვრობდა.

გარეთუბანი ამ დროისათვის საწარმოო ზონას განეკუთვნებოდა, სადაც „აგურხანები“, „ქუჩხანები“ და ჭურჭლის საამქროები იყო განთავსებული.

1830 წელს თბილისის ტერიტორია გარეთუბნითა და ბაღებით 299 ჰექტარი იყო, 1850 წელს 635 ჰექტარი 60-იან წლებში კი - 820 ჰა. ტერიტორიების ასეთი სწრაფი ათვისება მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქში და ქვეყანაში კაპიტალიზმი მძლავრად იკიდებს ფეხს.

მას შემდეგ, რაც ოსმანთა და აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების შემდგომ გარეთუბნის მაცხოვრებლებმა გალავნის შიგნით ქალაქს შეაფარეს თავი, გარეთუბანი დაცარიელდა, თუმცა რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს გარეთუბანში ისევ ხდება დასახლება: ძირითადად დაბალი ფეხის წარმომადგენლები და წვრილი ვაჭარხელოსნები.

საცხოვრებელი სახლების სტრუქტურა მეტად ნიშანდობლივი იყო. ფასადზე გამომავალი ოთახი სავაჭროს ან დუქანს ჰქონდა დათმობილი, ხოლო სიღრმისეული ოთახები საცხოვრებლად იყო გამოყენებული. თუ მაცხოვრებელი ხელოსანი იყო, მას სახელოსნო უკან ეზოში ჰქონდა, ხოლო ნახელავის გასაყიდი - ქუჩის ფასადზე განთავსებულ სათავსში.

ამ დროისათვის საპროექტო ტერიტორიის ქალაქიაგმარებით საკითხებზე ზედმეტია საუბარი, მშენებლობები ამ უბანში მეტად ქაოტურად მიმდინარეობს და მისი არქიტექტურული მხარე მხოლოდ ჰამქრებსა და კალატოზების შემოქმედებაზე იყო დამოკიდებული.

ტერიტორიის შემდგომი განვითარების პერიოდი XIX საუკუნეში იწყება, როცა ქაშუეთის წინ რასტაბაზარი ჩნდება და წარჩინებულები ნელ-ნელა ფეოდალურ გალავნის შიგა ქალაქიდან გარეთუბანში იწყებენ დასახლებას. ამ დროისათვის გარეთუბანში

რამოდენიმე ქარვასლა და საკულტო ნაგებობაა, მაგრამ გარეთუბნის განაშენიანება, ძირითადად, მაინც გოლოვინის პროსპექტზე მთავარმართებლის და სამხედრო ტაძრის „სობოროს“ აშენების შემდგომ ხდება. ამ დროს გოლოვინის პროსპექტის ორთავე მხარეს ჩნდება პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩები, ხოლო „გარეთუბანი“ ორ ძირითად უბნად იქნა დაყოფილი: ”მთაწმინდის“ და „სალალაკის“. სწორედ ამ უკანასკნელის ტერიტორიაზეა განთავსებული საკვლევი ძრგლი.

„სალალაკი“ გადმოცემით, „ციხის ბაღების“ (დღევნდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორია) მოსარწყავად არაბების ბატონობის პერიოდში სარწყავ არსეს „სულულ-ლაპ“ ერქვა. როგორც ჩანს, ამ სახელის შეცვლილი ფორმა ქართულად „სალალაკად“ იქნა ფორმირებული, რომელიც შემდგომ მის მიმდებარე ტერიტორიებზეც გავრცელდა.

ამ პერიოდში წარმოიშვა წინადადება ახალი ქალაქის მშენებლობაზე. შედგა პროექტიც, სადაც ტერიტორია დაყოფილი იყო კვარტლებად და დაკვალული ქუჩებით.

ზემოთ აღინიშნა, რომ თბილისის განვითარების ყველა ეტაპზე ქალაქმშენებლობის კულტურა მეტად დაბალ დონეზეა. ამდენად, დღის წესრიგში დგება მცდელობა იმისა, რომ შემდგარიყო ქალაქანვითარების გეგმა, რომლიც ჯერ კიდევ 1802 წელს იყო ჩაფიქრებული. ხოლო 1828 წელს შედგა ე.წ. საბუთი „თბილისის ახალი გეგმა“, რომელიც არ დამტკიცებულა, თუმცა ამ გეგმას ნაწილობრივ ემთხვევა დღევანდელი „გარეთუბნის“, მათ შორის, „სალალაკის“ არსებული ქუჩის ქსელი.

უფრო ნათელ წარმოდგენას საკვლევი ძეგლის ტერიტორიის ქალაქგეგმარებით განვითარებაზე XIX საუკუნის თბილისის რუკები იძლევა, რომლის ქრონოლოგია ასეთია:

ვახუშისტეულ თბილისის რუკაზე საპროექტო ტერიტორია თავისუფალია, ასევე დაუსახლებელია მთაწმინდის ფერდობიც.

პორუჩიკ ჩუიკოს მიერ 1800 წელს შედგენილ თბილისის რუკაზეც საპროექტო ტერიტორია თავისუფალია და განაშენიანება არ აღინიშნება აქ ბაღებია დატანილი.

1844 წლის თბილისის რუკაზე (იხ. დანართი №3) საკვლევ-ძეგლის ტერიტორია ისევ აუთვისებელია, თუმცა სალალაკის დასახლების კონტურები და კვარტლები გამოკვეთილია, ამ დროისათვის მთაწმინდის ფერდობის ათვისება ინტენსიურადა დაწყებული.

1867 წლის თბილისის რუკაზე (იხ. დანართი №4) შეიძლება ითქვას, უბნის ქუჩების ქსელი ჩამოყალიბებულ სახეს დებულობს, რომელიც იდენტურია დღევანდელობისა. ამ დროისათვის საპროექტო ტერიტორია ათვისებულია, ხოლო კვარტლის შუაში მწვანე საფარია დატანილი.

1913 წლის თბილისის რუკაზე (იხ. დანართი №5) საპროექტო ტერიტორიაზე მსხვილი მასშტაბით რამე ცვლილება არ აღინიშნება. საკვლევ არეალში ამ დროისათვის განთავსებულია გუბერნიის მართველობის შენობა, ხოლო მოპირდაპირე მხარეს სახელმწიფო დაწესებულება.

XX საუკუნეში ქალაქ თბილისის 1924 წ., და 1934 წ. (იხ. დანართი №6, №7) რუკებზე საკვლევ-საპროექტო ტერიტორიას, თუ არ ჩავთვლით ქუჩების სახელების შეცვლას, არსებითი სახეცვლილება არ განუცდია.

საბჭოთა პერიოდში საკვლევ ტერიტორიაზე შენობათა თაობათა ცვლა უმტკიცნეულოლდ მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით მცირე, უმნიშვნელო საპროექტო ჩარევებს, რომელმაც დღემდე მოაღწია.

ძეგლის პირველადი კვლევა-დაზერევითი სამუშაოების განმარტებითი ბარათი

მაჩაბლის ქუჩა XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა. მას თავდაპირველად ბაღის ქუჩა ერქვა, შემდეგ სერგიევსკის, ხოლო 1924 წლიდან ივანე მაჩაბლის. ქუჩა იწყება გ.ლეონიძის ქუჩიდან და მთავრდება ლ.ასათიანის ქუჩამდე.

მაჩაბლის ქუჩა №5 საცხოვრებელ სახლს არქიტექტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2007 წ. 01 ოქტომბრის №3/181 ბრაძანებით თუმცა იგი უფრო ადრე ჯერ კიდევ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1988 წელს გამოცხადდა ძეგლად.

ძეგლი აშენებულია XIX ს. ბოლოს XX ს. დასაწყისში, მისი ავტორის ვინაობა ვერ დადგინდა.

ძეგლი საცხოვრებელი ფუნქციის მატარებელია, ის განთავსებულია მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში, 1984 წელს ავარიულობისაგან

გამოთავისუფლებულ, ასევე, ძეგლის ტერიტორიაზე განთავსებული მაჩაბლის ძეგლის მომიჯნავედ.

აღსანიშვაგია, რომ ძეგლი ცოკოლით სამსართულიანია, რომელიც მთლიანად საცხოვრებელი ფუნქციისა თუმცა მისი მესამე სართული დაშენებულია მოგვიანებით, ასეთ მოსაზრებას ამყარებს მესამე სართულისა და საცხოვრებელი სახლის დანარჩენი ორი სართულის განსხვავებული აქიტექტურა რაც, როგორც წესი, ერთ მოცულობის პროექტირებისას არ ხდება.

ძეგლის ძირითადი მახასიათებლები

ძეგლის არქიტექტურა სტილიზაციის მიხედვით კლასიციზმს უნდა მივაკუთნოთ, რომელშიაც მემკვიდრებითი ელემენტებიც შეიმჩნევა ე.წ. “თბილისური სახლი”. ვერ ვიტყვით, რომ სახლი განსაკუთრებული არქიტექტურით გამოირჩევა, თუმცა ის, ამ მხრივ, მაინც იმსახურებს ყურადღებას, რაც მისი ძეგლათა ნუსხაში მოხვედრის წინაპირობა გახდა.

ძეგლი გეგმაში რუსული “გ” მსგავსია სამ სართულიანია და ნაშენებია აგურით კირხსნარზე, სართულშუა ხის გადახურვებით. სახლის ფასადის პირველი ორი სართული თვალშისაცემი არქიტექტურით გაგამოირჩევა, რასაც ვერ ვიტყვით მის მესამე სართულზე, რომელიც, როგორც აღინიშნა, დაშენაბულია მოგვიანებით და სტალინური ამპირის სტილი უფროა.

სახლის ფასადების არქიტექტურა განსხვავებული კომპოზიციური გადაწვეტით ხასიათდება და წამყვან არქიტექტურულ ელემენტს თაღი, ე.წ. “არკა” და სადარბაზო წარმოადგენს. ამ უკანასკნელთა კეთილშობილებას ლითონის ჭედური ჭიშკარი და ბალდახინი, ასევე, მეტად საინტერესო მხატვრულად შესრულებული სადარბაზოს კარები. სახლზე შემორჩენილია ერთადერთი ორიგინალი ლითონის აივანი, რომრლიც მეორე სართულზეა განთავსებული და, რომელიც მართლაც ჭედური ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. პირველი სართულის ფანჯრის ღიობები და ცოკოლის სართულის ასევე ფანჯრის ქვეშა ღიობები ერთ ორდერშია გადაწყვეტილი, რაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის ცოკოლს და პირველ სართულებს.

ამ ერთი ორდერით, ავტორი ფასადების დანაწევრებას აღწევს ისე, რომ მისი პროპორციები აბსოლიტურ შესაბამისობას განსაზღვრავენ

ამავე ორდერის შემადგენელ არქიტექტურულ ელემენტებთან. კერძოდ, ფანჯრის ღიობების საპირეები, დეკორატიული არქიტექტურული შვერილები, მესამე სართულის სართულშვა გადახურვის სიბრტყეში არსებული შვერილი და ე.წ. “რუსტები” საინტერესო კომპოზიციას ქმნიან, როგორც ცალკეულ ორდერებში, ასევე მთლიანად სახლის ფასადებზე.

აშკარაა ფასადზე მოწყობილი სხვა ლითონის აივნების შეუსაბამობა ძეგლის ავთენტობასთან. ისინი მოგვიანებით არის მოწყობილი ფასადების სამთავე სართულზე.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ეზოში შესასვლელი თაღი ე.წ. “არკ”-ს ლითონის ჭედურობაში შესრულებული ჭიშკარი, რომელიც მეტად საინტერესოა მხატვრული თვალსაზრისთ და, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია დღეისათვის.

რაც შეეხება შიდა ეზოს, აქაც შეიგრძნობა მესამე სართულსა და მეორე სართულს შორის გალერეების რიკულებს შორის სხვაობა. აქ აშკარაა მეორე სართულის გალერეის რიკულების უპირატესობა მესამე სართულთან შედარებით, რაც დამატებითი მტკიცებულებაა იმისა რომ სახლს მესამე სართული მოგვიანებით დაშენდა.

ძეგლის დანარჩენ ეზოს ფასადები მეტად სახეცვლილია, თუმცა შემორჩენილი ავთენტური დეტალებიც, იგივე რიკულები, რომელებიც მაინც ქმნიან საერთო განწყობას ძეგლის ვიზუალში.

სხვა ძეგლებთან შედარებით, განსაკუთრებული პომპეზურობით სახლის სადარბაზო არ გამოირჩევა, თუმცა ის მაინც საინტერესოა მისი კიბის სახელურების ლითონის სხმულებით და მარმარილოს ქვაში გამოყვანილი საფეხურებით.

ზოგადად, ძეგლი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ძეგლის შიდა გეგმარებითი სტრუქტურა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ბინების გეგმარებით გამოირჩევა და იმ დროისათვის მეტად მისაღები და პრესტიული იყო.

ძეგლის პირველადი კვლევის მიზანი

ძეგლის პირველადი კვლევა-დაზვერვითი სამუშაოები ჩატარებულია ძეგლზე პროფესორ გიორგი ხუციშვილის (1948-2013) მემორიალური დაფის მოწყობის შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით 2013 წელს. ასეთ ქმედებას კანონმდებლობა სამართლებრივად არ კრძალავს. კერძოდ კი, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს

კანონი ძეგლზე მემორიალური დაფების და რეკლამის, სამუშაოების ჩატარებას არ კრძალავს.

მოცემულ შემთხვევაში, მემორიალური დაფა უპრიანია, განთავსდეს ძეგლის პირველი სართულზე სადარბაზოს მარჯვენა მხარეს ყრუ კედელზე იმგვარად და იმ დოზით, რომ ასეთმა ქმედებამ არ გამოიწვიოს ძეგლის ავთენტურობის შეღახვა. პირიქით, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ძეგლის ამ მონაკვეთის გაკეთილშობილება, იგულისხმება დაფის მხატვრული მხარე, რამაც, თავისთავად, ძეგლის ეს მონაკვეთი უნდა გახადოს უფრო აღქმადი.

კვლევის ჯამური შედეგებიდან გამომდინარე, ძეგლის საპროექტო მონაკვეთზე მემორიალური დაფის მოწყობა უნდა განხორციელდეს ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები და მოსალოდნელი შედეგები

- მემორიალური დაფის ფართი და საპროექტო მონაკვეთის ფართის (ამ შემთხვევაში სადარბაზოს მარჯვენა მხარეს არსებული ყრუ სიბრტყე) ურთიერთ შეფარდება უნდა იყოს პროპორციული და კომპოზიციურად განაწილებული;
- მემორიალური დაფა უნდა განთავსდეს სადარბაზოს მარჯვენა მხარეს არსებული ყრუ სიბრტყეებზე ფანჯრის რაფიდან ათვლილი მესამე და მეოთხე რუსტს შორის კომპოზიციურად და აღქმისათვის მისაღებ სიმაღლეზე.
- წინამდებარე კვლევა-ძიება საკმარის წარმოდგენას იძლვევა საიმისოდ, რომ პროექტის ავტორმა და დამკვეთმა შეჯერებული პოზიციაზე დაყრდნობით და დამუშავებულ პროექტის წარდგენით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან შესაბამისი ნებართვა მიიღონ.
- ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაცია შესასრულებლად სავალდებულო არ არის, თუმცა სასურველი. ძეგლზე ასეთი სამუშაოს ჩატარებაზე სამართლებრივ დოკუმენტს სათანადო რეკომენდაციების სახით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტო გასცემს.
- კვლევის ავტორის აზრით, ძეგლის ასეთი უმნიშვნელო სახეცვლილება რაიმე უარყოფით შედეგს არ გამოიწვევს.


გრაფიკული მასალა





ფ-1 სალალაკი XIXს. მიწურულს - ფოტო



ვ-2 ძეგლის ნაწილის ფოტო












ფ-3, ფ-4, ფ-5, ფ-6, ძეგლის ფოტოები სხვადასხვა რაკურსიდან და
მისი ცალკეული მონაკვეთები;



1 ძეგლის ტერიტორია 1:2000 და ტოპო გადაღებაზე, (დანართი №1)




2 ისტორიულ კულტურული ძეგლების დისლოკაციის საყრდენი გეგმის ფრაგმენტი, (დანართი № 2).



3 ძეგლის ტერიტორია თბილისის 1844 წ. რუკაზე ,დანართი № 3



4 ძეგლის ტერიტორია თბილისის 1867 წ. რუკაზე, დანართი №4



5 ძეგლის ტერიტორია თბილისის 1913.წ რუკაზე, დანართი №5



6 ძეგლის ტერიტორია თბილისის 1924 წ. რუკაზე, დანართი №6



7 ძეგლის ტერიტორია თბილისის 1934 წ. რუკაზე დანართი № 7

2013 წელი. თბილისი, საქართველო.